

მუზეუმების როლი კულტურული ტურიზმის განვითარებაში

თამარ ლაჭავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ლაჭავა

13.02.2022

აბსტრაქტი

მუზეუმი საკმაოდ მნიშვნელოვანი დაწესებულებაა, როგორც დამოუკიდებლად, თავისი არსის და ფუნქციების გათვალისწინებით, ასევე ის მნიშვნელოვანი ნაწილია ტურიზმის განვითარებაში. ამიტომ, საჭიროა სწორად მოხდეს მისი როლის გააზრება და წარმოჩენა. სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს მუზეუმების როლის განსაზღვრა ტურიზმის განვითარებაში და ასევე, იმ პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც აფერხებს მათ გამართულ ფუნქციონირებას. ნაშრომის საკვლევ საკითხები მოიცავს მუზეუმების არსის, მათი განვითარების ეტაპების განსაზღვრას, მათი წილის გაგებას ტურიზმის სფეროში და ასევე პანდემიის გავლენის შესწავლას მუზეუმებზე.

საკვლევ თემის მიზნის მისაღწევად ჩატარდა კაბინეტური და თვისობრივი კვლევა და მათ საფუძველზე გამოიკვეთა მუზეუმების მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის განვითარებაში. ასევე, გამოჩნდა რიგი პრობლემები, რომლებიც საქართველოში არსებობს სამუზეუმო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ასევე, გაირკვა თუ რა გავლენა იქონია პანდემიამ მუზეუმებზე როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მუზეუმების როლი ტურიზმის განვითარებაში და ის პრობლემები, რომლებიც არსებობს მუზეუმების წინაშე. კვლევიდან მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სამომავლო, სწორი ხედვების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *მუზეუმი, კულტურული ტურიზმი, პანდემია, სამუზეუმო პოლიტიკა.*

Abstract

The museum is quite an important institution, both independently, in terms of its essence and functions, as well as it is an important part in the development of tourism. Therefore, it is necessary to properly understand and present its role. The research topic of the master thesis is to define the role of museums in the development of tourism and also to present the problems that hinder their proper functioning. The research issues of the paper include defining the essence of museums, the stages of their development, understanding their role in the field of tourism, as well as studying the impact of the pandemic on museums.

To achieve the purpose of the research topic, a cabinet and qualitative research was conducted and based on them, an important role of museums in the development of tourism was identified. There were also a number of problems with museum policy in Georgia. Also, find out what impact the pandemic had on museums both in the world and in Georgia.

The research revealed the role of museums in the development of tourism and the problems that exist in museums. Based on the results of the research, it is possible to determine the future, correct visions and take appropriate measures.

Key words: *Museum, Cultural Tourism, Pandemic, Museum Policy.*

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ბატონ გიორგი ქემერტელიძეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მიღებული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე ყველა პირსა თუ ორგანიზაციას, რომლებმაც მომაწოდეს საინტერესო ინფორმაციები.